THE ADVENTURE OF JOSEP JEHODA HALEVI CHORNI TO KUTAISI

იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა ქუთაისში

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
https://orcid.org/0000-0003-0627-5980
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055

Abstract. In this article, we paid attention to the ethnographic, historical, and cultural aspects of Jewish community in Kutaisi, their relationship with the local inhabitants described by the Jewish traveler and explorer, Joseph Judah Chorny. The traveler aimed to seek the clues of ten Jewish communities at the Caucasian and Persian regions; he strived to find out historical information about customs, toponymic of the settlements, historical manuscripts, valuable antiquities, artefacts, and other documentary clues about those communities. He was also interested in the Jewish inscriptions, epitaphs, and written monuments (including the oldest samples of The Bible).

Joseph Judah Chorny visited Kutaisi three times during that voyage. He gave us valuable and sufficient information about Jewish community in Kutaisi. His work tells us not only about the way of life and customs of the Jewish people; he gives the recommendations for his compatriots for how to get rid of the wretched life, how to release from the false beliefs and receive the European education. After visiting Gori, Tskhinvali and Surami, Chorni initially attended Kutaisi on 05 November 1869. Secondly, Chorni visited the city after one year, at the springtime with his companions. At the third time, Chorni intended to visit the village Sachino, near Kutaisi. So, he decided to stay in the city also.

Search keywords: Georgians, Jewish, religion and ethnic identity, diaspora.

დავით ჩოჩიშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-0627-5980
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055

აბსტრაქტი. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მოგზაურისა და მკვლევარის იეჰუდა ჰალევი ჩორნის მიერ ქუთაისის ებრაულ თემთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული, ისტორიული და კულტურული ასპექტების, ებრაელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებზე. მოგზაურის მიზანს წარმოადგენდა დაკარგული ათი ებრაული ტომის ნარჩენების მოძიება კავკასიასა და სპარსეთში, მათი წეს-ჩვეულებების, საცხოვრებელი ადგილის, ტოპონიმიკის, ისტორიული მასალების, მატერიალური სიძველეების, არტეფაქტებისა და სხვა დოკუმენტური მასალის გამოვლენა, შეძენა-შეგროვება. აგრეთვე მის ინტერესებში იყო ებრაული წარწერების, ეპიტაფიებისა და

სხვა წერილობითი ძეგლების (მათ შორის ბიბლიის უძველესი ნიმუშების) მოძიება და შესწავლა. ამ მოგზაურობის დროს იეჰუდა ჩორნი ქუთაისში სამჯერ იმყოფებოდა. მან ქუთაისის ებრაული თემის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაგვიტოვა, რომელიც არა მხოლოდ ებრაელების ცხოვრების წესსა და ადათებზე მოგვითხრობს, არამედ ებრაელი სწავლული იძლევა რეკომენდაციებს, როგორ უნდა გამოვიდნენ მისი თანამოძმენი დუხჭირი ცხოვრებიდან, როგორ გათავისუფლდნენ ცრუ რწმენა-წარმოდგენებისაგან და ეზიარონ ევროპულ განათლებას. გორის, ცხინვალისა და სურამის მონახულების შემდეგ ჩორნი ქუთაისში პირველად 1869 წლის 5 ნოემბერს ჩავიდა, მეორედ მომდევნო წლის გაზაფხულზე თანამგზავრებთან ერთად, ხოლო მესამედ საჩინოსკენ მიმავალს მოუწია ქალაქში დაყოვნებამ. მოგზაურმა აღწერა ევროპეიზაციის გზაზე დამდგარი ქალაქის მოსახლეობა, რომელსაც უჭირდა წარსულ ტრადიციებთან განშორება, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებამ დღის წესრიგში სხვა გამოწვევები დააყენა. ქუთაისის გუბერნია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ებრაული მოსახლეობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ებრაელები ცხოვრობდნენ როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ებრაელბა ქალაქ ქუთაიში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის პოლიტიკა მთელ რიგ შეზღუდვებს უწესებდა იმპერიის არარუს ხალხებს, როგორც სრულფასოვანი განათლების მიღების, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად, ადგილობრივი მოსახლეობა ეროვნული და რელიგიური შუღლის გარეშე ცხოვრობდა, რაც ევროპელი მოგზაურისთვისაც კი უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა.

საძიებო სიტყვები: ქართველები, ებრაელები, რელიგიური და ეთნიკური იდენტობა, დიასპორა.

შესავალი

საქართველოში ებრაულ დიასპორას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართლში მოსული ებრაელები საუკუნეთა განმავლობაში შეეთვისნენ ადგილობრივ მოსახლეობას, პირობებს, კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეს, ნაწილმა მიაღწია საკმაოდ მაღალ სოციალურ სტატუსს. ებრაელებისა და ქართველების მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ბევრი მოგზაური გვიამბობს. მათ შორის საპატიო ადგილი ეკუთვნის იეჰუდა ჰალევი ჩორნის, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა საქართველოში. მან მოიარა ყველა ებრაული თემი, აღწერა მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები, ტრადიციები, წესები... მოგზაური განსაკუთრებით მოხიბლა ებრაელების სხვა ერებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითებმა. საკუთარი თვალით ნახა ებრაელებისა და არაებრაელების ერთმანეთის გვერდში დგომა ჭირსა თუ ლხინში. ჩორნიმ განსაკუთრებული ინტერესით აღწერა თანამოძმეების მრავალი ტრადიცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც მოგზაურმა რამდენჯერმე მოინახულა, ქუთაისი იყო. აქაურმა კოლორიტმა, ებრაელებისა და არაებრაელების გვერდიგვერდ ცხოვრებამ, მათმა ერთმანეთისადმი დამოკიდებულებამ ჩორნიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ შთაბეჭდილებების ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი.

მეთოდები. კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი. აღნიშნული მეთოდების გამოყენებამ საშუალება მოგვცა, მოგვეხდინა ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების ერთმანეთთან შეჯერებით წარმოგვედგინა ქუთაისის ებრაული დიასპორის უმნიშვნელოვანესი ასპექტები:

კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, სამგლოვიარო რიტუალები, ურთიერთობა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და სხვა ეთნო-კულტურული მახასიათებლები.

შედეგები. ქართულ-ებრაული ურთიერთობების უნიკალურობა ყველა მკვლევარისა თუ თანამედროვე ისტორიკოსის მიერ ცალსახადაა აღიარებული. იეჰუდა ჩორნიმ დატოვა ცნობები, რომლებიც ადასტურებს ორი ერის მიერ საუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე ჩამოყალიბებულ საერთო მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, ქართველმა ებრაელებმა შეინარჩუნეს ეროვნული იდენტობა, რელიგიური თვითმყოფადობა და კულტურული სივრცე, რის თვალსაჩინო დასტურს წარმოადგენს ქუთაისის ებრაული დიასპორის საერთო სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

მსჯელობა. იოსებ იეჰუდა ჰალევი ჩორნი დაიბადა 1836 წელს, მინსკში, აშქენაზ ებრაელთა ოჯახში. მისი ადრეული ბიოგრაფიის შესახებ შედარებით მწირი ინფორმაცია არსებობს, თუმცა ცნობილია, რომ ახალგაზრდა ჩორნი არ დაეთანხმა მამის რჩევას, მეღვინე გამოსულიყო. მას დიდი სურვილი ჰქონდა, გაცნობოდა იმ თავისი თანამოძმეების ისტორიას და ყოფას, რომლებიც თავს დაკარგული ათი ებრაული ტომის ჩამომავლებად თვლიდნენ და განფენილი იყვნენ სპარსეთში, ამიერკავკასიაში და რუსეთის იმპერიის უკიდეგანო ველებზე. ამ მიზნით ჩორნიმ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც აკვირდებოდა თავისი თანამოძმეების ცხოვრებას, მათ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან, რელიგიურ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს.

ჩორნიმ ფასდაუდებელი მასალა შეაგროვა ებრაული თემების სოციალურ-ეკონომიკური, სტატისტიკური, კულტურულ-რელიგიური, ეთნოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. მისმა მჭიდრო კავშირმა ებრაულ საგანმანათლებლო მისიებთან განაპირობა საგანმანათლებლო იდეების წინ წამოწევა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ,,Aliance Israelite Universal" [1]-თან, რომელიც რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ებრაელების სწავლა-განათლების საქმეებით იყო დაკავებული. იეჰუდა ჩორნიმ კავკასიის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება ადგილობრივი სამხედრო-საოლქო ადმინისტრაციისაგან უშუალოდ კავკასიის მთავარმართებლის, დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის (1862-1882 წწ)[2] მფარველობით მიიღო. ჩორნი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა საგანმანათლებლო სისტემას იმ რეგიონებში, სადაც იმოგზაურა. იეჰუდა ჩორნის მოგზაურობის მიზნებს ნათლად წარმოაჩენს მის მიერ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში წარდგენილი პროგრამა, სადაც ნათლად ჩანს, რომ მოგზაურის ინტერესების ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ჩორნი მიუთითებს, რომ მისი ინტერესის სფეროს ებრაელთა საცხოვრებელი ადგილების, მათში შემონახული წეს-ჩვეულებების აღწერის, ტოპონიმიკის, ისტორიული მასალებისა და სხვა დოკუმენტური წყაროების შეკრების გარდა წარმოადგენდა შემდეგი საკითხებიც: ძველ სინაგოგათა და საფლავის ეპიტაფიათა... აღწერა კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში, მოკლე ისტორიული ნარკვევი საქართველოსა და სომხეთის ისტორიდან, ებრაულ დოკუმენტთა ორიგინალებისა და

[1] ივრ. חֲבֵרִים יִשְׂרָאֵל כָּל - საერთაშორისო ებრაული კულტურული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1860 წელს საფრანგეთში და მის მისიას წარმოადგენდა ებრაელების დაცვა იმ ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეებსაც ისინი წარმოადგენდნენ. ორგანიზაციის დევიზს წარმოადგენდა რაბინთა სწავლება: ,,ყველა ებრაელი პასუხისმგებელია ერთმანეთზე". ორგანიზაციამ დიდი ღვაწლი დასდო სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებს და დღესაც აგრძელებს საქმიანობას.

[2] იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი. მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1881 წლის 23 ივლისამდე. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

ასლების მოპოვება... ცნობები კავკასიის ებრაელთა სამყაროში დაცულ უძველეს ხელნაწერებსა და წიგნებზე, კავკასიის ებრაელთა კავშირ-ურთიერთობები პალესტინელ თვისტომებთან II ტაძრის ეპოქაში, მათი ლიტერატურული შემოქმედება... (ჩორნი, 1976:135-137).

ქუთაისის ებრაული დიასპორა საკმაოდ დიდი ხნის ისტორიას ითვლის. მე-17 საუკუნეში აქ უკვე კომპაქტური დასახლებაა, მაგრამ ებრაელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მე-18 საუკუნის მიწურულს, როდესაც ქუთაისს თავი შეაფარეს ახლციხიდან, ქართლიდან, ლაილაშიდან გახიზნულმა ებრაელებმა. 1852 წელს ქუთაისში ათასზე მეტი ებრაელი ცხოვრობდა.[3] ქუთაისში ებრაელთა კომპაქტური დასახლების შესახებ ჯერ კიდევ დიებუა დე მონპერე მიანიშნებს და იგი მოიცავს დღევანდელი ნიუპორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისსა და იერუსალიმის ქუჩას. ამ უბნის ძირითადი ქუჩა ე. წ. ,,ებრაელთა ქუჩა“ იყო, რომელიც ქუთაისის ქუჩების დასახელებებში უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩანს. ჟურნალ ,,ცისკრის“ მიხედვით, ეს ქუჩა იყო ,,ერთ ძუელ ქუჩათაგანი, რომელთა ნახვას ჩუენ ვართ მიჩვეული აზიის ქალაქებში. მისი სივიწროვე და აღმოუხნელი ტალახი უშლიდა თვით ურიებს სიარულს. ქუჩას აქეთ-იქით ნაპირებში აქუს არხები, რომელთაც ჩაჰყვება ყოველგვარი უწმინდურება. სახლები ურიების სულ ხისა არიან და ნაწილ არიან დადგენილნი შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილი მთაზედა აქა იქ ბაღებში“ (,,ცისკარი“, N6, 1860). სახლები ერთმანეთთან იმდენად ახლოს და უსწორ-მასწოროდ იყო მიჯრილი, რომ ორჯერ გაჩენილმა ხანძარმა დიდი ზიანი მიაყენა ებრაელთა მთელ უბანს (განსაკუთრებით დაზიანდა ებრაული უბანი 1928 წლის ხანძრის დროს, როდესაც დაიწვა როგორც სახლების უმრავლესობა, ასევე სამივე ლოცვაც). უბნის მაცხოვრებელთა უმეტესი ნაწილი ებრაელი იყო, რომელთა რაოდენობა სხვადასხვა დროს განსხვავდებოდა. მაგ. 1880 წელს ებრაელთა ქუჩაზე მცხოვრებ 39 კომლიდან 38 ებრაული იყო, ხოლო გელათის ქუჩის 64 კომლიდან-63. ებრაელები თანდათანობით ქალაქის სხვა უბნებშიც გადადიან საცხოვრებლად. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მიხეილის ქუჩაზე 59 კომლიდან 18, ვორონცოვის ქუჩაზე 56 კომლიდან 18, პოლიციის ქუჩაზე კი 81 კომლიდან 13 ებრაული ოჯახი ცხოვრობდა (თორია ა., და სხვ. 2019:17). ჩორნის ქუთაისში დახვედრა მოუწყო გუბერნატორმაც. ამ დროს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი იყო გრაფი ვლადიმირ ლევაშოვი (1867-28.09.1874) [4] ჩორნის აღწერით ქუთაისის ებრაული დიასპორა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და შემლებული იყო, თუმცა გარეგნულად ეს შესამჩნევი არ იყო. იგი სიამაყით მიემართებოდა ქალაქის ვიწრო ქუჩებში თანმხლებლებთან ერთად და ათვალიერებდა მის სანახავად მოსულ მრავალრიცხოვან მოსახლეობას, როგორც ებრაელებს, ასევე არაებრაელებს. მას არაჩვეულებრივი დახვედრა მოუწყევს, გამოუყვეს ცალკე მოსასვენებელი ოთახი, რომელიც ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. მოგზაური აღწერს ადგილობრივი ებრაელების სამზარეულოს, რომელშიც დიდი ადგილი უკავია ქართულ კერძებს: ,,...სოლომონ ხელმწიფის საკადრისი სუფრა გამიშალეს“ (ჩორნი, 1976:148). ქუთაისში კომპაქტურად სახლობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა სუფევდა: ,,რაბის მეზობლად ხუთი

[3] გაზრდილი მოსახლეობის გამო აუშენებიათ ზედა, ანუ მწვანეყვავილას ლოცვა, ვინაიდან ერთ სალოცავში მრევლი აღარ ეტეოდა. ამავე დროს გადაიტანეს ებრაული სასაფლაო ე.წ. პოლიციის ქუჩაზე, ზემოთ. განსაკუთრებით გაიზარდა ებრაული თემი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. საჭირო გახდა კიდევ ერთი სალოცავის აშენება, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1887 წელს, ე. წ. ,,დიდი სალოცავი“. ქუთაისში 1885 წელს 2488 ებრაელი სახლობდა, 1897 წელს-3464. 1865 წელს სალოცავებთან გაიხსნა პირველი ებრაული სკოლა, 1881 წელს უკვე სამი ებრაული სკოლაა 105 მოსწავლით, ხოლო 1896 წელს კი 155 მოსწავლით.

[4] ვლადიმირ ვასილის ძე ლევაშოვი (1834-1898)-ყირიმის ომის მონაწილე, არტილერიის გენერალი. იგი ჯერ განაგებდა კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმეებს, ხოლო 1871 წლის 27 სექტემბერს დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორად. 1876 წელს ლევაშოვი ოდესაში გადავიდა.

სომხური და ქართული ოჯახი სახლობს, დილიდან საღამომდე ამ ოჯახების ქალები ფანჯრებთან მიდგებოდნენ ან მოაჯირს მოაწყდებოდნენ და ჩემი ფანჯრისკენ იცქირებოდნენ ცნობისმოყვარეობით“ (იქვე).

ებრაელი სწავლულის ქუთაისში სტუმრობა თითქმის ყველა ფენისთვის საინტერესო აღმოჩნდა. ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ იეჰუდა ჩორნის მოგზაურობის ლეგიტიმაციას კავკასიის უმაღლესი მთავრობის მიერ მიცემული საშვი აძლევდა. ამავე დროს, ევროპიდან ჩამოსულ სწავლულთან სასაუბროდ ბევრმა ქუთაისელმა ჩინიანმა მოიცალა. მათ შორის იყო პოლიცმეისტერი, რომელთან გასაუბრება ჩორნიმ სცადა, თანამოძმეების სასარგებლოდ გამოეყენებინა. საქმე იმაშია, რომ ქალაქის ხელისუფლება უფლებას არ აძლევდა ებრაელების ნაწილს, შეეკეთებინათ სიძველისაგან დაზიანებული ხის სახლები. მოსახლეობის ნაწილს კი ქვის კაპიტალური შენობების ასშენებლად თანხა არ ჰქონდა. პოლიცმეისტერმა ჩორნის აღუთქვა, რომ დიდ ფულად თანხას გამოსთხოვდა მთავრობას და სესხის სახით მისცემდა ქალაქის მცხოვრებლებს (იგულისხმება ებრაელები- დ. ჩ.), თითოეულს ასაშენებელი სახლის სიდიდის შესაბამისად, მათ შორის ღარიბ ებრაელებსაც მისცემდა ფულს, რომლებიც ვალს წვრილ-წვრილად რამდენიმე წლის განმავლობაში გადაიხდიდნენ, მცირე პროცენტის წამატებით (ჩორნი, 149). როგორც ვხედავთ, იეჰუდა ჩორნის მოგზაურობას მრავალი მიზანი ჰქონდა. ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენდა ქართველ ებრაელებში განათლების დონის შესწავლა. თავად ევროპული

განათლების დიდი მომხრე, გულდაწყვეტილი აღნიშნავდა იმ გაუნათლებლობასა და უწიგნურობაზე, რომელშიც იმყოფებოდნენ მისი თანამოძმეები: ,,როგორც შევნიშნე, მათი (ებრაელების დ. ჩ.) გამანადგურებლები და მიწასთან გამსწორებლები მათივე რაბინები და ხახმები არიან... არ აძლევენ ჯამაათს საშუალებას, წინ გადადგან ნაბიჯი და ვინ იცის როდის აღმობრწყინდება განათლებისა და ცივილიზაციის მზე ამ ქვეყანაში” (იქვე).

იეჰუდა ჩორნი დაკვირვებით აღწერდა ადგილობრივი ებრაელების ტრადიციებს, წესებს, ადარებდა მათ ევროპელი ებრაელების ყოფას და ბევრ საერთოსაც ნახულობდა. ერთადერთი, რისი ოდნავი ინტერესიც მოგზაურმა საქართველოს ებრაელებში ვერ შენიშნა, ევროპული განათლებისადმი სწრაფვა იყო. გორში, ცხინვალში, დასავლეთ საქართველოში ჩორნიმ ვერ შეამჩნია მოსახლეობის სურვილი, მათ შვილებს მიეღოთ სრულფასოვანი განათლება. ჩორნის აზრით, ყველა იმ ცრურწმენისა და უბედურების მიზეზი, რომელიც ადგილობრივ ებრაელობას აწუხებდა, სწორედ გაუნათლებლობა იყო. ქუთაისში ყოფნის დროს მან საუბარი ჩამოუგდო ადგილობრივ რაბინს, რათა ებრაელი ბავშვებისათვის სკოლა გაეხსნათ, რომელშიც ,,სიბრძნის საგნებსა და სახელმწიფო ენას” ასწავლიდნენ. ამ წინადადებაზე რაბის საშინელი რეაქცია ჰქონდა. ყველა იმ ცრურწმენის სათავე, რომელიც ქუთაისელ ებრაელებში იყო გამჯდარი, მოგზაურის აზრით გაუნათლებლობაშია საძებარი. მათ სწამდათ ,,ქაჯების, კუდიანების, სულებისა და კიდევ ამისთანა მოვლენების“ (ჩორნი, 1976:153). ეს ერთი შეხედვით თითქოსდა უბოროტო რწმენა ხშირად შეიძლება სისხლიანი დაპირისპირების მიზეზიც გამხდარიყო. ამიტომ ჩორნი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი თანამოძმეების ხსნა მხოლოდ განათლებაში იყო; გაუნათლებლობა და არაპროფესიონალიზმი კი ხშირად ადამიანების სიკვდილით დასრულებულა.

ჩორნის გადმოცემით, ქუთაისში პროფესიონალი ექიმების ნაკლებობის გამო, მოსახლეობა მკითხავებსა და მლოცველებს მიმართავდა იმ იმედით, რომ მათ ავადმყოფის გამოჯანმრთელება შეეძლოთ. ისინიც ბოროტად სარგებლობდნენ ამ ნდობით და ფულისა თუ სხვადასხვა საჩუქრების სახით საკმაო გასამრჯელოს იღებდნენ. გაუნათლებელი და

მიამიტი მოსახლეობა წამოეგებოდა ხოლმე ამ ანკესზე. ავადმყოფობისაგან გამოსაჯანმრთელებლად ჯადოს მოხსნისა და სხვადასხვა სახის ლოცვის აღვლენის ტრადიცია გვიანობამდე შემორჩა არა მხოლოდ ქუთაისელი ებრაელების, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ქართველ ებრაელებს სწამდათ, რომ სამყარო დასახლებული იყო კეთილი და ბოროტი ძალებით, ამისთვის მიმართავდნენ შელოცვებს, სხვადასხვა სახის თილისმებს და ავგაროზებს: ,,თილისმების ხმარება ფრიად გავრცელებული იყო. მას ატარებდნენ ტანსაცმლის ქვეშ, ტანზე, ახალდაბადებულს უდებდნენ აკვანში, მშობიარეს უდებდნენ საწოლში ან მის ქვეშ, ჰკიდებდნენ კედლებზე, ქალები თავიანთ სკივრში ინახავდნენ ,,დასაცავებსა“ და ,,თილისმებს“ (იველაშვილი, ცაგარეიშვილი, 1995:140). მოგზაური აღნიშნავს, რომ როცა ვინმე ავად გახდება, ჯერ სცდიან, იქნებ ავგაროზებმა და შელოცვებმა უშველონ და როცა ეს ამაოა და ავადმყოფობაც მწვავდება, ისე რომ კაცი სიკვდილის პირამდე მიდის, მაშინ დაუძახებენ ევროპელ ექიმებს. მოგზაური თვითონვე გახდა მოწმე, თუ როგორ გარდაიცვალა რამდენიმე ადამიანი უექიმოდ, უმეტესად კი ბავშვები (ჩორნი, 1976:186). ამავე დროს, ებრაელებს ღრმად სწამდათ, რომ წმინდა წიგნებს შეეძლოთ ავადმყოფის მორჩენა. განსაკუთრებული მოწიწებით ქუთაისელი ებრაელები ,,წითელა ბატონებს“ ექცეოდნენ, სწამდათ, რომ თუ ვინმეს ეს სენი შეეყრებოდა, განსაკუთრებული პატივი უნდა ეცათ მისთვის. ოთახს მორთავდნენ წითელი ფერის ნაჭრებით, მოჰქონდათ საჩუქრები, ტკბილეული, ხილი... თან ილოცებოდნენ ,,შაქრად, ბატონებო, დაშაქრდით, დატკბით“. ამ დღეებში აკრძალული იყო ჩხუბი, კინკლაობა, სარეცხის რეცხვა და სხვა ყოფითი საქმიანობა, ,,ბატონების გასამხიარულებლად უკრავდნენ და მღეროდნენ (იველაშვილი, ცაგარეიშვილი, 1995:142). გამოჯანმრთელების შემდეგ წყალში შაქარსა და ყვავილებს ყრიდნენ და ავადმყოფს ფეხებს ამ წყლით ბანდნენ. თუ ავადმყოფი გარდაიცვლებოდა, მას სახლში არ გლოვობდნენ, რათა ,,ბატონები“ არ განერისხებინათ და სიმღერითა და ცეკვით ეთხოვებოდნენ მათ: ,,ბატონებიანი თუ გარდაიცვალა და იმავე ოჯახში, ან მეზობლად კიდევ ვინმეა ბატონებიანი, ისე გამოასვენებენ მიცვალებულს, რომ ერთი ,,ვაი“-საც არ დაიძახებენ, რათა ბატონები არ განაწყენდეს;... მიცვალებულს თუ იმ ქუჩაზე მიასვენებენ, რომელზედაც ბატონებიანია, იმ დროს ცეკვა თამაშითა და ბოდიშით ეხვეწებიან ბატონებს იმ ოჯახის მყოფნი, არ განაწყენდნენ, არ გაწყრნენ და არ გაიგონ, რომ ვინმეს მიასვენებენ (თავდიდიშვილი, 1940: 88-92). ამდენად, ცრურწმენები ქუთაისელ ებრაელებში იმდენად ღრმად ყოფილა გამჯდარი, რომ გვიანობამდე შენარჩუნებულა ხალხის მეხსიერებაში.

იეჰუდა ჩორნი ქუთაისელი ებრაელების ისეთ ჩვევებზეც ამახვილებს ყურადღებას, რაც ძირითადად დასავლეთ საქართველოსთვის იყო და ახლაც არის დამახასიათებელი. ეს ტრაპეზის დროს სტუმრისთვის საჭმლის დაძალებაა. ჩორნი აღწერს გაშლილ მაგიდას, რომელიც სხვადასხვა საჭმელ-სასმელით უნდა იყოს სავსე: ,,...წესად აქვთ (ქუთაისელ ებრაელებს დ. ჩ.) ყველანაირი საჭმელი ერთდროულად მოიტანონ სუფრაზე. ყველა სახის კერძი, ღვინო და არაყი მაგიდაზე უნდა იყოს, და თუ მაგიდა ცარიელია, ესაა მათთვის დიდი შეურაცხყოფა... თითოეული მათგანი იღებს საჭმლის რომელიმე ულუფას და თავის თანამესუფრეს შესთავაზებს. ეს უკანასკნელიც პირველს და არიან ასე საჭმლების მიწოდება-გაცვლაში... უნდა სვან უზომოდ“. მოგზაურის მიერ აღწერილი ეს ჩვეულება კიდევ ერთი დადასტურებაა ებრაელების მიერ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების შეთვისებისა.

ჩორნი მეორედ ქუთაისში მომდევნო წლის გაზაფხულზე ჩავიდა. ამჯერად მას უფრო მოკრძალებულად დახვდნენ. იგი ერთი თვით დაბინავდა აშქენაზ მეირ ცვი ბუხბინდერის-საათების შემკეთებლის ოჯახში, სადაც მისთვის უფრო მისაღები პირობები იყო. ერთი თვის განმავლობაში მოგზაური დადიოდა ადგილობრივ არქივში, აგროვებდა ებრაელების შესახებ ინფორმაციას, აკვირდებოდა მოსახლეობას და ნანახი ფურცელზე გადაჰქონდა.

მოგვიანებით ჩორნი ახალ ბინაში გადავიდა, რომელიც სპეციალურად მისთვის ააშენეს ხახამ იოსებ ელიგულაშვილის თაოსნობით. ნახევარი თვის შემდეგ ჩორნი საჩინოს რაბის მიწვევით სოფელს ესტუმრა და მოგვიანებით მაისის 25-ში ისევ დაბრუნდა ქუთაისში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ თავისი შედეგი საქართველოშიც მოიტანა. მოსახლეობის უფრო უნარიანმა ნაწილმა შეძლო სწრაფად აეღო ალღო კაპიტალისტური მეურნეობისათვის. ევროპული და აზიური სავაჭრო ბრუნვა რუსული საქონლის და რუსეთიდან შემოტანილი იმპორტული საქონლის მკვეთრი ზრდით აღინიშნება. გაზრდილი სავაჭრო ურთიერთობები საფინანსო-საკრედიტო მომსახურების აუცილებლობასა და განვითარებას მოითხოვდა. 1866 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რომლის წლიური ბრუნვა 130 მილიონ მანეთს უდრიდა. იყო ასევე კომერციული ბანკი, სათავადაზნაურო ბანკი (1871 წელს), საბანკო კანტორა, გამსესხებელი სალარო... ქუთაისის ჯამაათის ნაწილი საკმაოდ შეძლებული ჩანს და ისტორიული დოკუმენტებით ჩანს, რომ უკვე ჩართულია ბურჟუაზიულ კაპიტალბრუნვაში. ქუთაისელი მეწარმეები და ვაჭრები ერთიან საიმპერიო ეკონომიკურ სივრცეში ერთიანდებოდნენ და საერთაშორისო ურთიერთობებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მართალია, ებრაელების ნაწილი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველი გლეხების მსგავსად დროებითვალდებული აღმოჩნდა, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა შეძლო თავის გამოსყიდვაც და სავაჭრო საქმიანობის ისე სარფიანად აწყობაც, რომ არა მხოლოდ ქონება შეიძინა, საკუთარი ბატონების ქონების ნაწილიც კი ჩაიგდო ხელში. შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ თურქეთისა და ირანის მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან- სტამბოლი, ყარსი, არზრუმი, თავრიზი და სხვა.. (პაპისიმედოვი, 2014:508-509). რკინიგზის გაყვანის შემდეგ ვაჭრების გარკვეულმა ნაწილმა ნაწილობრივ ან სრულად გაწყვიტა კავშირი აზიის ქვეყნებთან და რუსეთის სავაჭრო ქსელში ჩაება.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორი ინტესივობით გადიოდნენ საქართველოდან ებრაელი ვაჭრები კომერციული მიზნებისთვის-მაგ. 1866 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა მიუღია 62 ებრაელ ვაჭარს, 1867 წელს 44 კაცს, მათ შორის არიან ქუთაისის, კულაშის, ცხინვალის, ბრეთის, ახალციხის ებრაელები. ამ ვაჭართაგან ყველაზე მეტი ქუთაისის მკვიდრი ყოფილა (პაპისიმედოვი, 2014:510-516).[5]

ქუთაისელი ებრაელები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჭრობის ავანგარდში ჯერ კიდევ საუკუნის მეორე ნახევრიდან გვევლინებიან. მათი მთავარი სავაჭრო ქალაქი სტამბოლი იყო. გარდა ლეგალური სავაჭრო ურთიერთობებისა, ხდებოდა კონტრაბანდის ან განუბაჟებელი საქონლის შემოტანაც. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქუთაისელი ვაჭრები უკვე გეზს რუსეთისკენ იღებენ. მოსკოვი, ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, ვარშავა და სხვა. ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს ამ ქალაქებიდან ძირითადად ფართალი, საგალანტერიო საქონელი შემოჰქონდათ. ასევე შემოჰქონდათ არასეზონური საქონელი-რუსეთის დიდ ბაზრებზე ყიდულობდნენ ჩამოფასებულ, არასეზონურ საქონელს და საქართველოში დიდი მოგებით ყიდდნენ. საქართველოდან გაჰქონდათ-დაუმუშავებელი აბრეშუმი, ბეწვეული, ქალის თმა, საინტერესოა, რომ ქუთაისელი ებრაელი ვაჭრები ვაჭრობდნენ კვერცხის პარტიით-50-60 ვაგონი კვერცხი იგზავნებოდა წლის განმავლობაში რუსეთში (პაპისიმედოვი, 2014:519-520). ასევე ბუმბული, ძველი ხალიჩები, ხილი, ვაშლის ჩირი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ჯამაათის ნაწილი საკმაოდ შეძლებული იყო და

[5] 1870-72 წლებში საქართველოში 2020 კომლი ებრაელი ცხოვრობდა. თუ თითოეულ ოჯახში 6 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ ქართველ ებრაელთა საერთო რაოდენობა 13120 სული გამოდის. აქედან 1630 ანუ მოსახლეობის 80 % ვაჭრობას მისდევდა. 1900 წელს 3580 ოჯახი, 17900 სული. ვაჭრობას მისდევდა 79%.

ცხოვრების კარგი პირობებიც შეეძლო შეექმნა, ებრაელობა შედარებით ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. მოგზაურის დაკვირვებით ებრაელები არ აძლევდნენ თავს უფლებას ჩაეცვათ ქართველი და სომეხი მანდილოსნებივით კოხტად: ,,მათი (ებრაელების დ.ჩ.) ქალები ქუთაისში არ ატარებენ გამორჩეულ ტანსაცმელს და სამკაულებსაც არ იკეთებენ, როგორც სხვა ადგილებში იციან, რადგანაც მათი აზრით, აკრძალულია ქალმა კარგად ჩაიცვას და მოირთოს თავი, რომ სხვა კაცებს არ მოეწონოთ, მეორეც, ეს მათთვის ფრიად ხელსაყრელია, დიდ ხარჯებს არ გასწევენ ქალების სამოსზე, ისე როგორც იმერელი, ქართველი და სომეხი ქალები, რომელთაც სახლებში შეიძლება საკმაო სარჩო-სანოვაგე არ ჰქონდეთ, მაგრამ გარეთ ყველა დაიჯერებს, რომ ესენი თავადის ქალები არიან“ (ჩორნი, 1976:194). მოგზაური აღწერს იმასაც, თუ როგორ გამოიყურებიან ქუთაისელი ებრაელები ვიზუალურად: ,,ქუთაისის მცხოვრებთა უმრავლესობა თავს იპარსავს, განსაკუთრებით ხნიერი ხალხი. ჭაბუკები თმას ატარებენ, ქალები კი კულულებს გათხოვების მერეც იტოვებენ, ისინი თმებს პოლონელ-ლიტველი ქალებივით იხუჭუჭებენ და უკან კი არ ივარცხნიან, როგორც ჩვენებური ქალიშვილები, არამედ... თმებს იხვევენ და გრძლად მკერდამდე იკიდებენ, ასევე ატარებენ თმებს იმერელი, ქართველი და სომეხი ქალები მთელს ამ მხარეებში, ეს მათ კარგ შესახედაობას აძლევს“ (იქვე). მოგზაურის თვალს არ გამოეპარა ისიც, რომ ახალგაზრდობა ცდილობს უფრო თავისუფლად იყოს და ხშირად წინაპრების ჩვეულებები

ან შეარბილოს, ან საერთოდ თქვას მათზე უარი. მოგზაურის გაკვირვებას იწვევს იუდაიზმის ზოგიერთი ფუნდამენტალური კანონის, მაგალითად წმინდა შაბათის დარღვევა: ,,... რაბის სახლში, შაბათ დღეს ვნახე დიდი ცეცხლი ენთო სამზარეულოში. არაებრაელი საჭმლის ქვაბებს დგამდა ცეცხლზე შესათბობად. ასე იქცევიან ყველა ებრაელის სახლში ქუთაისსა და მახლობელ სოფლებში, ყოველ შაბათ დღეს“(ჩორნი, 1976:195).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოგზაურისა და სწავლულის იეჰუდა ჩორნის დაკვირების შედეგად მიღებული დასკვნები ქუთაისელი ებრაელებისა და ქართველების დამოკიდებულების შესახებ. ევროპელი მოგზაურისთვის, რომლისთვისაც უცხო არ იყო ინფორმაცია ევროპაში წარმოებული ე.წ. ,,ებრაული პოგრომების“ შესახებ, განცვიფრებული აღწერს ფაქტებს ქუთაისის ებრაელი და არაებრაელი მოსახლეობის კეთილმეზობლობისა და ურთიერთპატივისცემის შესახებ: ,,იეჰუდა ჩორნი მეტად შთამბეჭდავად და შეულამაზებლად გვიამბობს როგორც ქუთაისელ ებრაელთა ეთნო-რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, ისე ქართველებთან მათ ყოველდღიურ ურთიერთობებზეც... ებრაელი ავტორის წიგნი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა იქნეს მიჩნეული შესაბამისი პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მათ შორის ქუთაისის წარსულის შესასწავლადაც მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალად (ნიკოლეიშვილი ა., ნიკოლეიშვილი ო., გვ. 193). ჩორნის დაკვირვების შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ საუკუნეების განმავლობაში ებრაელებისა და ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრებამ ბევრი რამ შეცვალა მისი თანამოძმეების ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში იყვნენ, იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს, თანდათან აახლოვებდნენ თავიანთ წეს-ჩვეულებებს და ზოგიერთი წესი ზიარიც კი ხდებოდა. მიცვალებულის სამგლოვიარო ფსალმუნებითა და მექორწილეების მხიარული სიმღერებით გაცილება ორივე ერისთვის ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული. ,,ეს ჩვეულებები აქვთ იმერლებსაც, ისინიც ამ წესით მიასვენებენ მიცვალებულს ქალაქის ქუჩებში, მელოდიებით და დაკვრით. ასევეა ამ მხარის ყველა სოფლებში. ქართლშიც ასეთივე წესია“ (ჩორნი, 1976:195).

ქუთაისში მესამედ ჩასვლის შემდეგ მოგზაურს შესაფერისი პატივი ვერ სცა ჯამაათმა, რამაც ჩორნი დიდად დაამწუხრა. იგი ეპითეტებს არ იშურებს, უარყოფით კონტექსტში

დაახასიათოს ებრაული ჯამაათის ხელმძღვანელობა[6] ჩორნი მათ მოიხსენიებს, როგორც უვიცებს, განათლების მტრებს და საკუთარი ხალხის განვითარებაში ხელშემშლელ პირებს. ქუთაისში ნანახი საგანმანათლებლო სისტემა სრულიად მიუღებლად მიაჩნია: ,,ჯერ მასწავლებელი კითხულობს სტრიქონს, ბავშვმა სიტყვა-სიტყვით ზეპირად უნდა დაისწავლოს ის სტრიქონი... თუ ვერ შეძლო დაზუთხვა და სიტყვების დამახსოვრება, ჯოხით სცემს სასტიკად (ჩორნი, 1976:191). როგორც ზოგადად რუსეთის იმპერიაში, საქართველოს ებრაულ თემშიც მოსწავლეთა სწავლა-განათლება ფიზიკური ძალის გამოყენებაზე იყო დამყარებული.

ჩორნი ემიჯნებოდა სწავლის პროცესში ძალის გამოყენებას და მისი იდეალი იყო ევროპული განათლება, რომელიც გაგება-გააზრებაზე იყო დაფუძნებული და მისი თანატომელებისთვის უცხოსა და მიუღებელს წარმოადგენდა. ებრაული მოსახლეობა მე-19 საუკუნის შუახანებისთვის საკუთარი შვილების განათლებისთვის მეტწილად კერძო მასწავლებლებს მიმართავდა. იმისთვის, რომ მასწავლებელს მოსწავლე შეგირდად აეყვანა, მშობელს მისთვის საჩუქრები უნდა მიერთმია. საწყის ეტაპზე საჩუქრების ჩამონათვალი საკვები პროდუქტებით განისაზღვრებოდა, მაგრამ როდესაც მოსწავლე ისწავლიდა კითხვას, მაშინ საჩუქრების რაოდენობაც და ფასიც მატულობდა (ჩოჩიშვილი, 2014:178). სწავლის პროცესში ზეპირობა და ფიზიკურად დასჯა რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემისთვის იყო დამახასიათებელი (წერეთელი, 2011:80-85).

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ და პერსპექტივამ, რომელსაც განათლების მიღება იძლეოდა, ებრაულ თემშიც ჰპოვა ინტერესი. ებრაელებმა დაიწყეს ზრუნვა საკუთარი შვილებისათვის სწავლის კერების დასაარსებლად. ეს ტენდენცია არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ადგილობრივი ჯამაათი აგროვებდა კერძო შემოწირულობას და შუამდგომლობას გზავნიდა სახელმწიფო ინსტანციებში. სასწავლებლის დაარსების მოთხოვნით. მაგალითად 1890 წელს სუჯუნის ებრაელობამ გადაწყვიტა ახალი სკოლის ასაშენებლად ფული შეეგროვებინა და დაიწყო ამ მიზნით ფულის შეწირვა (ივერია, 1890: 1). ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის 1890 წლის გამოცდაგავლილი 16 მოსწავლიდან ერთი ებრაელი იყო (ივერია, 1890:2).[7] ქუთაისში ჩორნის სტუმრობის დროს მისი მასპინძლის იოსებ ელიგულაშვილის ძმისშვილს აბრამ ლევიჩს დედა გარდაეცვალა. „როცა სული ღმერთს მისცა, მთელი ქალაქის ქალებმა იწყეს თავმოყრა, მათ შორის იმერელმა ქალებმაც,

[6] როგორც ქუთაისში, ასევე სხვა ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობის დროს იეჰუდა ჩორნის საცხოვრებელს, კვებას, გამყოლებისა და გადაადგილების ხარჯს ძირითადად ჯამაათი უზრუნველყოფდა. ქუთაისში სტუმრობის დროს მოგზაურის გამყოლი იყო ვინმე დავიდ ჰაკატანი, რომელიც ასრულებდა როგორც გამყოლის, ასევე თარჯიმნის ფუნქციას. გარდა ამისა, ჩორნის გამყოლებისა და ტრანსპორტის ანაზღაურების ნაწილი ებრაული საქველმოქმედო ორგანიზაციის ხარჯზეც ხდებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება, არამედ რელიგიური წესების მოწესრიგება, მათ შორის ე.წ. შალიახებისათვის ხელის შეწყობა, რომლებიც შესაწირს აგროვებდნენ ებრაული თემებისათვის.

[7] ვინაიდან სახელმწიფოს დაარსებულ სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ებრაული თემი არ იყო კმაყოფილი რუსული სწავლა-განათლების სისტემით. მათ სურდათ ებრაელ ახალგაზრდებს თალმუდი და ებრაული წერა-კითხვაც შეესწავლათ. ,,ივერია“ წერს, რომ თბილისელ ებრაელებს გადაუწყვეტიათ, დაარსონ ,,რიგიანი“ სკოლა და ვარშავიდან გამოიწერონ ძველი ებრაულის მცოდნე მასწავლებელი (ივერია, 1890:3). ცარიზმის რეჟიმი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო. მე-20 საუკუნის დამდეგისთვის უკვე ძალაში იყო კანონი, რომლის საფუძველზეც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ნება დართეს ებრაელებსაც ესწავლათ.

რომელთაც ფრიად ჰყვარებიათ განსვენებული. მათაც გამოიტირეს იგი, ყველას საუცხოოდ ეცვა. ქალები მიცვალებულის ოთახში ისხდნენ, ხალხი გარეთ ან ეზოში ისხდა, გვერდით ოთახში ქალები ცხობითა და და საჭმელების კეთებით იყვნენ დაკავებულნი... ყველა იჯდა, ტიროდა და მის ღირსებებს ჰყვებოდა... (ჩორნი, 1976:191)". გარდაცვლილის მიმართ ყველა გამოხატავდა პატივისცემას. მას ,,შეძლებისდაგვარად ყველა სცემდა პატივს, ყველას მხიარულად ხვდებოდა, ღარიბ-გაჭირვებულს ყოველთვის უმართავდა ხელს და ა.შ. მთელი ქალაქი იმოწმებდა, მათ შორის არაებრაელი ქალებიც კი, რომ მისთანა არავინ იყო მთელ ქალაქში" (ჩორნი, იქვე). მიცვალებული გააპატიოსნეს და მთელმა ქალაქმა წაასვენა სასაფლაოზე, ქალებმა ჭიშკრამდე მიაცილეს და სახლში დაბრუნდნენ. ჭირისუფლის მაგიდაზე იყო, როგორც ტრადიციული ებრაული კერძები, ასევე ხაჭაპური. ადგილობრივი ქართველების ტრადიციული კერძებით იყო გაწყობილი შვიდი დღის შემდეგ მიცვალებულის საპატივცემულოდ გაშლილი სუფრა: ,,მაგიდაზე მოიტანეს შემწვარი ხორცი, ღვინო, ღომი, რომელიც ძნელად საჭმელ ფაფასავითაა" (ჩორნი, იქვე). ჩორნი აღფრთოვანებულია, რომ ქართველები ისევე გლოვობენ ებრაელს, როგორც საკუთარ თანამოძმეს. გლოვის დროს მამაკაცები ორმოცი დღე წვერს იყენებდნენ, ხოლო ქალები საყელოს ჩაიჭრიდნენ და ასე გამოხატავდნენ გლოვას. ორმოცი დღის შემდეგ, მამაკაცებს წვერის გაპარსვის, ხოლო ქალებს კი პერანგის საყელოს გაკერვის უფლება ეძლეოდათ. ის ვინც მიცვალებულის გამო განსაკუთრებით გლოვობდა, ხშირად ერთი წლის განმავლობაში არ იპარსავდა წვერს და ჩაჭრილი საყელოთი დადიოდა. აღნიშნული ტრადიცია შეიძლება შევადაროთ საქართველოში ღრმად ფეხმოკიდე-ბულ ტრადიციას, სადაც მსგავსი შემთხვევები დღესაც გვხვდება (ჩოჩიშვილი, 2021:34- 35). ჩორნის ცნობების მიხედვით საქართველოს ყველა კუთხეში ქართველები და ებრაელები მეგობრულად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთის ლხინსა და ჭირს იზიარებდნენ, იცავდნენ საკუთარ ტრადიციებსა და ცხოვრების წესს. ამავე დროს, ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ რელიგიური წესების ასრულებაში, უფრო მეტიც, ხშირად იღებენ მონაწილეობას ერთმანეთის სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო რიტუალებში (ჩოჩიშვილი, 2008:415)[8]. განსაკუთრებული ემოციებით ჩორნი ქუთაისელი ებრაელების შესახებ მოგვითხობს, რომ როდესაც ვიღაცა გარდაიცვლებოდა, მის გლოვაში მთელი ჯამაათი იღებდა მონაწილეობას: ,,როცა ქუთაისელ ებრაელებს ვინმე, თუნდაც ბავშვი გამოაკლდებათ, ყველა მათგანი კეტავს თავის დუქნებს და ჭირისუფლის სახლში მიდის, მიცვალებულს აპატიოსენებენ და სასაფლაოზე მიასვენებენ. შვიდი დღის შემდეგ მიცვალებულის ოჯახი სარიგობო სუფრას უშლიდა ქალაქის მცხოვრებთ. თუ ოჯახი არაა შეძლებული, ყოველ მათგანს სახლიდან მოაქვს საჭმელი" (ჩორნი, 1976:191). მიცვალებულის დატირებისა და გლოვის წესები ქუთაისელ ებრაელებს საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ებრაელების მსგავსი ჰქონდათ, თუმცა მასში ასახული იყო ადგილობრივი ქართველების ტრადიციების გამოძახილიც.

იეჰუდა ჰალევი ჩორნიმ ქუთაისი საბოლოოდ 1870 წლის 27 ივნისს დატოვა. მოგზაურის შთაბეჭდილებები ამ ქალქისა და ებრაული ჯამაათის შესახებ არაჩვეულებრივი ისტორიული წყაროა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიისთვის. ებრაელი მოსახლეობის ტრადიციისა და ცხოვრების აღწერით

[8] უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საზოგადოება ერთხმად არ იზიარებდა ჩორნის კეთილშობილურ მიზნებს და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. მაგ. გაზეთი დროება წერდა: ერთი სოკრატ ფილოსოსფოსის მსგავსი ურია დაიარება ჩვენში, სახელად იუდა ჩორნი (შავი-შვარც), რომელიც, როგორც თვითონ არწმუნებს ყველას, კავკასიის ურიების ისტორიისათვის მასალებს ჰკრეფს. მასალებს გარდა ფულებსაც ჰკრეფს, თავისი მომავალი თხზულების გამოსაცემად... ამბობენ: სოფელ-სოფელ დაიარებაო და ზოგ თავადიშვილებს სხვა და სხვა ძველებური ძვირფასი ნივთები გამოართვაო... ძველი ნივთების პატრონებს ვურჩევთ... თუ რამ აქვთ ისტორიისათვის გამოსადეგი... სხვები უფრო კარგად მოიხმარენ (დროება, 3, 2).

მოგზაურმა ასევე გადმოგვცა სხვა ეთნოსების ყოფაც, საზიარო და განსხვავებული ტრადიციები, ურთიერთდამოკიდებულება და სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. როგორც რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, ქუთაისშიც განთლებისა და ცხოვრების ეკონომიკური დონე კრიზისს განიცდიდა. ის, რომ ერთეულები ახერხებდნენ ახალი კაპიტალისტური ურთიერთობებისთვის აეწყოთ ფეხი, საერთო სურათს ვერ ცვლიდა. მოგზაურმა აღწერა ევროპეიზაციის გზაზე დამდგარი ქალაქის მოსახლეობა, რომელსაც უჭირს წარსულ ტრადიციებთან განშორება. ქუთაისის გუბერნია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის სწორედ რომ ებრაელთა ლოკალიზაციის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა (გეგეჭკორი, 2001:76). ცარიზმის პოლიტიკა მთელ რიგ შეზღუდვებს უწესებდა არარუს ხალხებს, როგორც სრულფასოვანი განათლების მიღების, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა,ადგილობრივი მოსახლეობა ეროვნული და რელიგიური შუღლის გარეშე ცხოვრობდა, რაც ევროპელი მოგზაურისთვისაც კი უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა

გეგეჭკორი, ა. (2001). *საქართველოს ებრაული გალუთი (დიასპორა) მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.* (დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.

დავიდი, ი. (1976). იეჰუდა ჰალევი ჩორნის ,,მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია)". *ნაწერები, ტ. I.* თელ-ავივი-იერუსალიმი.

თავდიდიშვილი, რ. (1940). *"ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან".* თბილისი.

თორია, ა. კაშია, მ. ფანჩულიძე, მ. ქათამაძე, დ. (2019). *დავიწყებული ისტორიები-კათოლიკური და ებრაული თემები ქუთაისში.* თბილისი.

იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, თ. (1995). *"გვიხმობს მამული მამა-პაპათა".* თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (1999). *ქართველ ებრაელთა ისტორია.* თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2011). ქართველი ებრაელები. *სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები. ტ. VII.* თბილისი.

ნიკოლეიშვილი,ა. ნიკოლეიშვილი, ო. (2012). ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები). ქუთაისი.

პაპისიმედოვი ი., (2014). საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის. *სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები. ტ. I-II-III.* თბილისი.

ჩოჩიშვილი, დ. (2008). იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.* თბილისი.

ჩოჩიშვილი, დ. (2015). ებრაელთა განათლება მე-19 საუკუნეში. *გსსუ პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენცია.* 22 ივლისი. გორი.

ჩოჩიშვილი, დ. (2021). ქართველების და ებრაელების იდენტობის პარალელები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. *საერთაშორისო კონფერენციის მოხსენეთა კრებული.* თბილისი.

წერეთელი, ა. (2011). *ჩემი თავგადასავალი.* თბილისი: საუნჯე.

ჟურნალი ,,ცისკარი". 1860, N6.

ჟურნალი ივერია. 1890, N120, გვ. 1.

ჟურნალი ივერია. 1890, N7, გვ. 3.

ჟურნალი ივერი. 1887, N149, გვ. 2.

ჟურნალი დროება. 1875, 3/2.

REFERENCES

gegech'k'ori, a. (2001). *sakartvelos ebrauli galuti (diasp'ora) me-19 sauk'unis meore nakhevarshi.* (disert'atsia ist'oriis metsnierebata k'andidat'is khariskhis mosap'oveblad). [*Jewish diaspora of Georgia in the middle of the 19th century*. (Dissertation for gain of PhD degree)]. Tbilisi.

davidi, i. (1976). iehuda halevi chornis ,,mogzauroba sakartveloshi, imeretshi, samegreloshi, guriasa da ararat'is kveqanashi (armenia)". *nats'erebi, t'. I.* tel-avivi-ierusalimi. [Joseph Judah Chorny ,,Journey to Georgia, Imereti, Samegrelo, Guria and at the Country of Ararat (Armenia)" *Letters, volume I].* Tel-Aviv-Jerusalem.

tavdidishvili, r. (1940). "etnograpiuli nark'vevi kutaisis ebraelta dzveli qopa- tskhovrebidan". tbilisi.

toria, a. k'ashia, m. panchulidze, m. katamadze, d. (2019). *davits'qebuli ist'oriebi- k'atolik'uri da ebrauli temebi kutaisshi.* [*the forgotten histories – The Catholic and Jewish communities in Kutaisi].* Tbilisi.

ivelashvili, t. tsagareishvili, t. (1995). *"gvikhmobs mamuli mama-p'ap'ata". [The land of our fathers is calling].* Tbilisi.

mamistvalishvili, e. (1999). *kartvel ebraelta ist'oria.* tbilisi. *[,,History of Georgian Jewish].* Tbilisi.

mamistvalishvili, e. (2011). kartveli ebraelebi. *ssip' davit baazovis sakartvelos ebraelta ist'oriis muzeumis shromebi. t'. VII. [The assays of D. Baazov museum of history of Jews of Georgia LEPL, volume VII].*Tbilisi

nik'oleishvili,a. nik'oleishvili, o. (2012). *evrop'eli avt'orebi kutaisis shesakheb (XV-XIX sauk'uneebi).* kutaisi. [*The European authors about Kutaisi (XV-XIX centuries*]. Kutaisi.

p'ap'isimedovi i., (2014). sakartvelos ebraelta agheb-mitsemis ist'oriisatvis. *ssip' davit baazovis sakartvelos ebraelta ist'oriis muzeumis shromebi. t'. I-II-III.* [A review of the Trade History of the Georgian Jewish. *The assays of D. Baazov museum of history of Jews of Georgia LEPL, volume I=II-III].* Tbilisi.

chochishvili, d. (2008). iehuda chornis mogzauroba dasavlet sakartveloshi. *akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi.* [The journey of Joseph Judah Chorny at the western Georgia. *The points of a new and the newest historical aspects].* Tbilisi.

chochishvili, d. (2015). *ebraelta ganatleba me-19 sauk'uneshi*. gssu p'ropesor-masts'avlebelta k'onperentsia. 22 ivlisi. [*The Jewish education in Georgia at the 19th century, GSTU].*Gori.

ts'ereteli, a. (2011). *chemi tavgadasavali*. *[my adventure].* Tbilisi: Saunje.

zhurnali ,,*tsisk'ari"*. 1860, N6. [Periodical magazine ,,*Tsiskari'* N6].

zhurnali *iveria.* 1890, N120, gv. 1. [Periodical magazine ,,*Iveria'* N120, Pg. 1].

zhurnali *iveria.* 1890, N7, gv. 3. [*Iveria*, N7, Pg. 3].

zhurnali *iveria.* 1887, N149, gv. 2. *[Iveria,* N149, Pg. 2].

zhurnali *droeba.* 1875, 3/2. [*Droeba,* 3/2].